კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეურნეო ჟურნალი

# მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . 3 მან. | რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად . 10 კაპ. | ადრესი: Тифлисъ, Барятинская, № 5.

წელიწადი მეორე

1910 წელიწადი.—14 თებერვალი.—№ 4.

## შინაარსი

ვ. რცხილაძე . . . . . რა მდგომარეობაშია დღეს იმერეთის მეფუტკრეობა . . . 3
ვ. ახოშვილი . . . . . მსხალი და ვაშლი . . . . . 4
ს. ხუნდაძე . . . . . ვაზის გასხვლა . . . . . 7
გ. ნახუცრიშვილი . . . . . ბოლოთა ამხანაგობა ფინლიანდიაში . . . . . 9
გ. ცხადაძე . . . . . შინაური ცხოველების ავადმყოფობა და ექიმობა . . . 11
ვ. გულბაათიშვილი . . . . . რაგორ ზრუნავენ და სარგებლობენ შინაური საქონლით ჩვენში, რუსეთში და სხვაგან . . . . . 12

საყურადღებო ცნობები:

ნ. კეთილაძე . . . . . კითხვა—პასუხი . . . . . 15
გ. ცხადაძე . . . . . მუხლუხის შესახებ . . . . . —

განცხადებანი . . . . . 16

ტფილისი, ელექტრო-მბეჭდავი წიგ. კომერც. ქართ. ამხ—სა, 1910 წ.

F 11620

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეურნეო ჟურნალი

# მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა.— პ. აკერკინისა, ი. აფხაზ..სა, აგრიკოლასი, ვ. ახოშვილისა, ვ. ახ..ლაძესი ლ. გოგნიევისა, ვ. გულბაათიშვილისა, დ. გორთაძეშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელე ესი, ზ. ელილაშვილისა, მ. ზაალიშვილისა, ა. თამამშევილისა, ე. იოსელიანისა, ფ. კანჩერის., ე. კარბელაშვილისა, ვ. ლორთქიფანიძესი, დ. მღივანისა, ს. მგალობლიშვილისა. მ. მიღალაშვილისა, ნ. მაკარაშვილისა, ვ. მჭედლიშვილისა, მ. მამულაშვილისა, გ. ნახუცრიშვილისა, ტ. ნ., ი. პაატაშვილისა, ვ. რცხილაძესი, მ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფორტუნატოვისა, ვ. უ—ელისა, ი. ფინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. ხრამელაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ჯორჯაძესი და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს **კოლეგია**, რომლის კომპეტენცია რედაქციას სავალდებულოთა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვიდეს მისცემს შრომაში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ ცხოვრობენ და არ შეუძლიანთ **რედაქციასთან** პირისპირ **შეთანხმება** რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და **მეორეს** ხრით მისცემს ქართულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

**კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან:** გოგებაშვილი ი., სარაჯიშვილი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ღამბაშიძე ვ., აღლაძე ი., გულისაშვილი მ.

---

## თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

---

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

---

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

---

**განცხადებები** დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

---

წლის დამლევს ხელისმომწერლებს **საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თესლეულობა** სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

**ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.**

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

**რედაქტორ-გამომცემელი** ვ. ი. რცხილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მდგომარეობაშია დღეს იმერეთის მევენახეობა

მას შემდეგ რაც იმერეთში ფილოქსერისაგან ამოვარდნილი ვენახები ხელმეორედ გააშენეს—სწერს საქარის სანერგეს უფროსი ბ-ნი გორაევი—ვენახებს სრულიად სხვა სანახაობა და მნიშვნელობა მიეცა აქ. ეხლა ყოველი ახლად გაშენებული ვენახი ორპირად არის 12 ვერშოკზე დაბარული; ვაზი ახალშენში ერთი წლის ნახარები ნამყენი ირგვება მწკვრივად ხან 2 არშინზე, ხან 2 არშინ და 6 ვერშოკზე ერთიერთმანეთიდან; ვაზის ჩაყრის დროს ნიადაგს უსათუოდ აპატივებენ ძველი ნეხვით; ნამყენსა რგავენ ისე რომ ნამყნობი ადგილი მიწის ზედა პირიდან 1 ვერშოკზეა მაღლა დარჩენილი; ნამყენის რომ არ გახმეს, გარეშემო შემოუყრიან მიწას ისე რომ ნამყნობი ადგილი შემოკოკებულ მიწაში იყოს ჩამალული; ამ მიწას, ზაფხული რო გავა, მხოლოდ მაშინ გადაშლიან. მთელი ზაფხულის განმავლობაში ახალშენს მარგლავენ, თოხნიან, სწამლობენ.

**მეორე წელს** გასხლავენ ორ კვირტზე და შეუდგავენ საარს მუხისას, წაბლისას, თეთრი აკაციისას. საარი უფრო ხშირად დახეთქილი იხმარება, სისქით 1 ვერშოკი და $3^1/_2$—4 ვერშოკი სიმაღლით.

**მესამე წელიწადს** ვაზს დააყენებენ $1^1/_4$ არშინის სიმაღლეზე და გასხლავენ ორ კვირტზე.

**მეოთხე წელიწადს** ვაზს მისცემენ ნეკს ორ კვირტზე გადაჭრილს და საკავებელს, რომელსაც იმ წელსვე დააკავებენ. თუ ვაზი თამამია, საკავებელს 2—4 მისცემენ. ხანდისხან იმის მაგიერ რომ საკავებელი თავის სარზე დააკაონ, გადებულ ხარიხზე გააწვენენ გაშლით და მიაკრავენ ხოლმე ზედ. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვენახს რამდენჯერმე გაფურჩქნიან და მკათათვეში გადაკვეცავენ. შაბიამნით ყველა სწამლობს, ხოლო გოგირდით წამლობას იმოდენა მნიშვნელობას არ აძლევენ, ზოგი ხან ერთხელაც არ შეაყრის გოგირდს. საზოგადოდ კარგი მოვლა აქვს აქაურ ვენახებს, მაგრამ სასურველია უფრო უკეთ მოუარონ.

ცნობები იმის შესახებ თუ რა გამოსავალი აქვს ადგილობრივ ვაზების თითოეულ ჯიშს ან როგორი ღირსების ღვინოს იძლევიან, არა მაქვს შეკრეფილი. ქვემოთ მოვიყვან მხოლოდ რაც საქარის სანერგეს გამოუკვლევია.

1900 წელს საქარის სანერგეს სულ ცხრა ნაჭერი ვენახი ჰქონდა ქუთაისის, შორაპნის ⅆ სენაკის მაზრებში. ამ წელს მოსავალს თითო დესეტინაზე უწევია 1179 ფუთამდე, არგვეთში—2182 ფუთამდე. რასაკვირველია, ასეთი მოსავალი ჩვეულებრივი არ არის, ბევრით აღემატება საშუალო მოსავალს, მაგრამ იგი მაინც გვიჩვენებს აქაური მიწაწყალი რამდენად ხელშემწყობია მევენახეობისა.

საქარის სანერგეს გამოკვლევით ოთხი წლის (1905—1908) განმავლობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ჯიში ვაზებიდან ასეთი მოსავალი გამოსულა საშუალოდ:

| ჯიში | შაქარი %% | | სიმჟავე %% | გამოვიდა დესეტინაზე ფუთი. |
|---|---|---|---|---|
| | საშუალო. | უმეტესი. | | |
| კრახუნა... | 22,5 | 23,6 | 8,69 | 633 |
| ტიტკა.... | 20,4 | 21,2 | 10,47 | 764 |
| ტოლიკური | 22,2 | 23,4 | 10,97 | 280 |
| მადლარი.. | 20,6 | 21,6 | 12,80 | 336 |
| სემილიონი | 20,0 | 23,6 | 7,87 | 536 |
| რისლინგი. | 19,2 | 19,9 | 8,40 | 415 |
| ზანტი ... | 17,5 | 18,3 | 8,87 | 1180 |
| კაბერნე... | 20,7 | 22,1 | 8,28 | 267 |

ქუთაისის გუბერნიაში 1908 წელს ითვლებოდა ვენახები და გამოსავალი ჰქონდათ ამ ვენახებს:

| მაზრა | რამდენი დეს. ვენახი იყო | | | რამდენი ვედრა ღვინო გამოვიდა |
|---|---|---|---|---|
| | ნამყენი | უმყენი | ამერ. სანერ. | |
| ქუთაისისა. | 4389 | 4640 | 60 | 917,100 |
| შორაპნის. | 6100 | 6950 | 65 | 1,347,500 |
| სენაკის... | 250 | 79 | 52 | 28,950 |
| ზუგდიდის. | 26 | 26 | 5 | 6,750 |
| ოზურგ... | 150 | 5026 | 24 | — — |
| რაჭა..... | 50 | 1776 | 3 | 106,731 |
| ლეხუმი. | 35 | 1483 | 2 | 88,328 |

თუმცა საქარის ვენახები, როგორადაც დაცემული ადგილები, დაბალ სავენახე ადგილებს წარმოადგენენ, ამბობს ბ-ნი გორაევი, მაგრამ ღვინო აქ მაინც იმდენად გემრიელი დგება, რომ მყიდველი წლითი-წლობით მატულობს და დღეს უკვე იმოდენია მათი რიცხვი რომ საქარის ვენახების გამოსავალი აღარა ჰყოფნით.

ვ. რცხილაძე

# მსხალი და ვაშლი

(გაგრძელება)

ნაგალა ხეხილების გასაშენებლად ჯერ უნდა ადგილი აირჩეს. ყურადღება უნდა მივაქციოთ ადგილის მდებარეობას და ნიადაგის ავკარგიანობას.

**მდებარეობით** ადგილი უნდა ყუდრო იყოს, ესე იგი მზე უნდა ედგეს დიდხანს და მოფარებული უნდა იყოს ქარსაც და ჩრდილოეთის სიცივესაც. თუ საფარი არა აქვს, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მასზე. შეიძლება, მაგალითად, წყალი თუა, წნორი, ტირიფი ან ჭანდარი ჩაურიგოთ ქარის მხრივ. ღამით გაციებულ, გაყინულ მცენარეს თუ დილით, სანამ მოთბება, მზის სხივი მაშინვე მიადგა, მცენარე იჩაგრება. ამიტომ ხეხილის ბაღი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან მოფარებით უნდა იყოს და დასავლეთ-სამხრეთისაკენ იყურებოდეს, რომ რაც შეიძლება მეტი სითბოსინათლე ხვდებოდეს მზისა.

**ნიადაგი** უნდა იყოს მხურვალი, ესე იგი უნდა იყოს თიხნარი და ბლომათ ერიოს ქვიშა და კირი.

თუ ერთ არშინზე ან უფრო ნაკლებზე წყალი ამოვიდა, ნიადაგი არ ივარგებს ბაღისათვის, რადგან ზომაზე მეტად ნესტიანი და ცივი ნიადგი სჩაგრავს ხეხილს.

თუ ნიადაგის წყალი 5—6 არშინის სიღრმეზეა, მაშინ ნიადაგს ნესტი საკმარისი არ ექნება და ხეხილი ურწყავათ არ გამოდგება.

სისქე ნიადაგს ერთ არშინზე მაინც ნაკლები არ უნდა ქონდეს; რაც მეტი სისქე ექნება, სჯობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგალა ხეხილის ბაღს უნდა გარეშემო მაღალი და მაგარი ღობე ჰქონდეს, რადგან ნაგალა ხეხილის გაკიწვა უფრო ადვილია ქურდისათვის.

**ნიადაგის დამუშავება.** ბაღის გასაშენებელი ადგილი უნდა ორპირად დაიბაროს პირაღებით, რომ ნიადაგს ზევითი პირი ქვევით მოეგცეს და ქვევითი ზემოთ.

მართალია, პირაღებით დაბარვა მეტ ხარჯს გამოიწვევს, მაგრამ არც იმდენს, რომ ორმოების ამოთხრა ვარჩიოთ ორპირად დაბარვას. ჯერ ერთი რომ ორმოებ შუა, თუ 3—4 არშინის მოშორებით დავრგავთ ხეხილს ერთი ერთმანეთიდან, ბევრი აღარა დარჩება რა დასაბარი. მეორე, უფრო საყურადღებო, მიზეზი ნიადაგის პირაღებით გადმობრუნებისა ის არის რომ ხეხილი ორმოში ადვილად იზრდის ფესვებსაც და ტანსაც მხოლოდ პირველ 2—3 წელს, ვიდრე ორმოს სიფართოვე ეყოფათ ფესვებს, მერე კი როცა მათ გაშლა-გაწევა დასჭირდებათ განზე, ორმოს კედლები გაძეკილ-გამაგრებულნი ვინ იცის რამდენ ხნიდან ისე ადვილად აღარ გაატარებენ ფესვებს შორს ნიადაგში და მცენარის ზრდა ფერხდება.

**სასუქი.** რადგან ჩვენა გვსურს რომ ნაგალა ხეხილებს ნაყოფი ბლომათ ესხას და მაღალი ღირსებისაც, ამიტომ არ უნდა დავერიდნეთ იმ მცირედ ხარჯს, რომელიც ადგილის გაპატივებას დასჭირდება. საუკეთესო სასუქი ნაგალა ხეხილებისათვის არის საქონლის ნეხვი.

ნეხვი უნდა შემოდგომითვე გაიფინოს ბაღში და პატარაზე ჩაიბარნოს ან ჩაითოხნოს. ახალ ნეხვს ძველი, დაჩწვარი ნეხვი სჯობია სასუქად. თუ ფრინველების სკლინტს გადურევთ ძროხის ნეხვს, უფრო კარგი.

ნაგალა ხეხილებს ძალიანა რგებს აგრეთვე კირიც. გამქრალი ანუ წყალ-დასხმული კირი უნდა დაიფხვნას, გაცხავდეს, გადერიოს მიწა და ისე მოიყაროს ბაღში. კირს წყალ-დაუსხმელსაც ხმარობენ სასუქად. ეს უკანასკნელი უფრო მძიმედ იჩენს თავის ზედმოქმედებას, ესე იგი მძიმედ იშლება და ამიტომ მეტ ხანს ჰყოფნის.

არანაკლებ სიკეთეს აძლევს ხეხილის ბაღს კომპოსტი *). ხელოვნურ სასუქებში სამჯობინარნი არიან კაინიტი და ტომასშლაკი. პირველი ჰშველის ხეხილს ტანის აყრაში, ამაგრებს ხის ცილას; მეორე კი ჰმატებს სხმოიარობას და აძლევს ნაყოფს უკეთეს ფერსა და გემოს.

ხშირად ხეხილები ხან ნესტის მიზეზით, ხან დამშევით ქლორროზით (სიყვითლით) ხდებიან ავად: უყვითლდებათ (ხან უთეთრდებათ) ფოთოლი, ნაყოფი იკრუნჩხება და სცვივა. ამისთანა შემთხვევაში ავადმყოფი ხის გარშემო 2—3 გირვანქა რკინის შაბიამანი გახსნილი წყალში უნდა დავასხათ და მცენარე 10 დღის განმავლობაში გამობრუნდება: ფოთოლიც გაუმწვანდება და ნაყოფიც გამოკეთდება.

**ბაღის დაპლანვა.** ორპირად გადაბრუნებული ადგილი ჯერ უნდა ხეხილის ჩაყრამდე დაიპლანოს. დაპლანვა ასე ხდება: ჯერ დანიშნავენ ალმა-დალმა და გარდი-გარდმო გზებს, ამ გზებით მთელი ადგილი ცალკე კოროებად დაიყოფა; შემდეგ თითოეულ კო-

*) იხ. წარსული წლის „**მოსავალი**“ №№ 7, 11, 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომს კვლებათ დაჰყოფენ და კვლებზე, კიდე რიგებს ჩაავლებენ ხეხილების ჩასარიგებლად. რამოდენა მანძილი უნდა იყოს ხიდან ხემდე ან რიგიდან რიგამდე ეს წინათვე უნდა გამოირკვას, რადგან როცა თითოეული ხის გარშემო ყალთაღი ადგილი კვადრატი კი არა სამკუთხი გინდათ რომ იყოს, მაშინ დარგვაში ადვილად შეიძლება შესცდეთ და ხეხილი არევით გამოვიდეს ბაღში დარგული, თუ მანძილი ხიდან ხემდე და რიგიდან რიგამდე წინადვე არ გქონდათ გამორკვეული და დანიშნული. როდესაც გვინდა გავიგოთ რამოდენა ალაგი უჭირავს თითო ხეს, უნდა რიგებ შუა და ხიდან ხემდე მანძილები გავზომოთ და ერთმანეთზე გადავამრავლოთ. ამნაირად, სულ ერთია რიგები იქნებიან შორი შორს და ხეები კი ახლო-ახლო, თუ რიგები ახლო-ახლო და ხეები თითოეულ რიგზე იდგებიან შორი-შორს.

საზოგადოდ მიღებულია ნაგალა მსხლების შორის 4×4 არშინი მანძილი და დუსენზე ნამყენ ვაშლებისათვის 5×5 არშინი.

**ნამყენების არჩევა და დარგვა.** დასარგვათ უმჯობესია ერთი წლის ნამყენები გამოვიწეროთ. ერთი წლისანი იაფიც დაჯდება და უფრო ადვილადაც შეეთვისებიან ახალ ადგილს, მაგრები და გამძლეები დაიზრდებიან. ნაგალა ხეხილს ძირი სიმაღლით 1/4 არშინი მაინც უნდა გავაზდევინოთ, რადგან ასეთი სიმაღლის ხეხილი მოსავლელად უფრო ადვილი იქნება. ხეხილების დარგვა ჩვენში გიორგობისთვიდან ვიდრე თებერვლის გასვლამდე შეიძლება. ამ ხანში რაც ადრე დაირგვება, ის სჯობია. დარგვის დროს ნამყენს გადატეხილი ფესვები უნდა დანით ან მაკრატლით წავაკვეცოთ და დავრგავთ ისე რომ გადაჭრილი ზედაპირი ფესვისა მიწაში ქვევით იყურებოდეს. დარგულ ნამყენს გარეშემო მიწა კარგა უნდა შემოეტკეპნოს და მოირწყას.

**გასხვლა.** როგორც პირველ წერილში ვსთქვით*), ნაგალა ხეხილებს გასხვლა პირველ 2—3 წელიწადს სჭირდებათ მხოლოდ, ერთწლოვან ნამყენს ნახევარზე მეტი სიმაღლე უნდა წავაჭრათ, რომ ახალი ლონიერი ყლორტები ამოუვიდეს. მიწიდან 1/4 არშინის სიმაღლეზე რაც კვირტები ექნება სულ უნდა შევაცალოთ, რომ ძირი გაიკეთოს, გაიმსხვილოს. ზემოთა კვირტებიდან ნამყენი გაზაფხულზე 5—6 ყლორტს გამოიტანს, რომელნიც ზაფხულში თავისუფლად დაიზრდებიან; შემოდგომაზე ამ ტოტებს გავსხლავთ ოთხ კვირტზე და ეს არის და ეს, ამათ ამაზე მეტი გასხვლა აღარ დასჭირდებათ. ასეთი გასხვლით ზრდა შეფერხდება და ხეხილი ნაყოფის გამოტანას დაიწყებს. თუ შემდეგში ნიადაგი ძრიელ ნოყიერი აღმოჩნდა და ხეხილმა ხშირი ყლორტები გაიკეთა, რომ არ დაიბუროს, შიგა და შიგ ყლორტებს, რომელიც უფრო სუსტები იქნებიან ან გადახლართული, ძირამდე ავაჭრით ზამთარში.

ნაგალა ხეხილის ბაღში სხვა არაფერი მცენარე უბრალო ბალახიდან მოყოლებული არ შეიძლება გავუშვათ გასაზრდელად. ბუჩქნარ ხეხილს ფესვები ღრმათ არ მისდის, ზეადაგშივე ეფინება, რის გამო ბალახი ჩვილიც რომ იყოს ცოტა რამე საჭრდოს მაინც წაართმევს ხეხილს. ამიტომ ამისთანა ბაღში

*) იხ. „მოსავალი“ № 15, 1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოხი აუღებლივ უნდა მუშაობდეს. ბოსტნეული მცენარის დათესვა და მოყვანა ამისთანა ბაღში, რაღა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია.

შემდეგი მოვლა ასეთი ხეხილის ბაღისა რაში უნდა მდგომარეობდეს, ამას მერე მოგახსენებთ.

**ვ. ახოშვილი**

# ვაზის გასხვლა

**რისთვის ისხვლება ვაზი.** უწინ ვაზს ყოველ წლივ არა სხლავდნენ. მთელი ვაზი თავისი უთვალავი რქებით და ყლორტებით მიშვებული იყო ნებაზე, ეკვროდა დიდ ხეებს, მის ტოტებს და თავისუფლად იზრდებოდა.

გურიაში მაგ. ეხლაც ბევრს ვენახს შეხვდებით ხეებზე გაშვებულს.

ესეთ ვაზს დიდი ძალა და გამძლეობა აქვს. ჭრილობები მაგრე რიგად არ ჩაგრავს ზრდაში, წვენის მოძრაობაც ძლიერია და ფოთოლიც ძალიან ბევრი ასხია. სწორედ ეს არის მიზეზი რომ ასეთი მოუვლელი, უკულტურო ვაზი ასი წლობით სძლებდა, ძირი ისე უმსხვილდებოდა რომ მორებათ დაიჭრებოდა. სამაგიეროთ ამისთანა ვაზის თვითოეული ცალკე ტოტი სუსტია, ყურძენი დაბალი ღირსებისაა, რქა არ შემოდის, მზე და სითბო მათში არ მოქმედობს თავისუფლათ, სხვადასხვა გვარი სენი ადვილად ეკიდება, მოსავლელათ ძნელია და ამიტომ ვაზის ასე გაშენება უვარგისად უნდა ჩაითვალოს.

ვაზი ყოველ წლივ უნდა გაისხლას, მეტი რქა უნდა მოშორდეს, რომ ამათი საზრდო-საკვებავი დარჩენილ რქებს გაუნაწილდეს. სხვლა თუმცა ასუსტებს ვაზს—უძნელებს წვენის მოძრაობას, მაგრამ სამაგიეროთ ნაყოფიერებას ჰმატებს. კარგად გასხლული და მოვლილი ვენახი მოსავალს ყოველ წლივ დაახლოებით ერთნაირს იძლევა. მტევანიც და მარცვალიც საუკეთესო ღირსებისა არის და ღვინოც კარგი დგება.

გასხვლით, მყნობით და სხვა ოპერაციების ზეიგავლენით ადვილათ შეიძლება სრულიად უნაყოფო, მაგრამ ტანით ლონიერი ვაზი მოსავლიანათ ვაქციოთ. გონივრულათ ნასხლავ ვაზის ნაწილები ერთნაირი სისქისა და ლონისა არიან, რადგან ისინი სითბო-სინათლით და სხვა საკვებავებით თანასწორად სარგებლობენ. გარდა ამისა გასხვლით ჩვენ შეგვიძლიან მივცეთ ვაზს ის ფორმა და ტანი, როგორიც ადგილობრივ პირობებში უფრო ხელ-საყრელი და სასარგებლოა.

გასხვლით ჩვენ ასეც ვსარგებლობთ: როცა ვაზი ძალიან ლონიერია, მეტ სანაყოფე რქას შევარჩენთ და მეტ მოსავალსაც ვიღებთ. მხოლოდ საჭიროა აქაც ზომირება გვახსოვდეს და ძალიან დიდი მოსავლით ვაზი არ დავასუსტოთ.

**ვაზის გასხვლის დრო.** ვაზის გასხვლა შეიძლება ყოველთვის როცა მას მწვანე ფოთოლი აღარა აქვს, არ იზრდება და დასვენებულია. ყინვის დროს ვაზის გასხვლა არ ვარგა: რქა ადვილათ იმტვრევა და ახალი ჭრილობაც ეყინება.

ხანდახან ჩვენში და ზოგან სხვაგანაც, რთველს გაათავებენ თუ არა—სხვლას მიჰყობენ ხელს, ფოთლის გაცვივნას აღარ უცდიან. იმ ადგილებში, სადაც ზამთრობით ვაზს არა მარხავენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯობია ფოთლის გაცვივნას დაუცადოთ და მერე გავსხლათ, თუმცა ვაზი არც იმითი დაზარალდება რომ შემოდგომით, ჯერ კიდევ ფოთოლში, გაისხლას. მხოლოდ შერჩენილ რქებს ფოთოლი ძალათ არ უნდა შევაცალოთ.

ვიდრე ვენახს ყინვა არ მოხვდება, მანამ ფოთოლი სულ არ გასცვივა, სხვლას არ უნდა შეუდგეთ ხოლმე და ამისი მოცდა კი ხშირად მევენახესათვის მოუხერხებელია.

ჯერ ვენახი უნდა გაისხლას და მერმე დაიბაროს, ჭიგო შეიზიდოს შიგ და სხვ.

შემოდგომითვე და ზამთრის პირზე შემუშავებული ვენახი სჯობია გაზაფხულზედ შემუშავებულს. ისეთ ადგილებში კი სადაც გაზაფხული ცივი და თრთვილიანი იცის, უმჯობესია ვენახი გაზაფხულზედ გავხსლათ, რადგან შემოდგომაზედ გასხლული ვაზი ადრე გამოიწევს და თუ ნორჩი ყლორტი დაითრთვილა, მოსავალი განახევრდება.

ყოველ შემთხვევაში ის ვაზი, ესე იგი ადრეულა ჯიში, რომელიც გაზაფხულზედ ადრე იღვიძებს, გვიან უნდა გავსხლათ და დანარჩენი ჯიშის ვაზები კი მთელი ზამთრის განმავლობაშიაც გაისხვლება.

**პირველი წელიწადი**. თავდაპირველად მინდა მოვაგონო მკითხველს, რომ დიდი შეცდომა იქნება ჩვენში რომ ვინმემ ვენახი უმყენი გააშენოს. დღეს არა ხვალ ფილოქსერა უთუოდ ეწვევა იმ ადგილებსაც, სადაც ის ჯერ არ არის და მთელი შრომა და ხარჯი, რაც უმყენი ვაზის გაშენებაზედ იქნება გაწეული, სრულიად დაიკარგება

ნამყენი ვაზი უფრო ხშირად ერთწლოვანი ირგვება. ნამყენს ის ადგილი, სადაც ამერიკული და ჩვენებური ვაზია შედუღებულ-შეხორცებული, მიწის პირად უნდა იყოს და არა ღრმათ ჩაიფლას მიწაში. ჩვენებური ჯიშის რქა ორ კვირტზედ უნდა გაისხლას და ამ პატარა ნეკს ფხვიერი მიწა ან წმინდა ლამი მიეყაროს რომ დაიფაროს. ეს იმიტომაა საჭირო რომ ქარმა და სიცხემ ნამყენი ადგილი არ გამოაშროს, არ გაახმოს.

მიწა რომ გაზაფხულზე გაფუვდება დარგული ვაზი ახალ ფესვებს გაიკეთებს, ის ორი კვირტიც გაიღვიძებს და ზედ წაყრილი მიწიდან ამოძვრება ორი ნორჩი ყლორტი.

რაკი ეს ყლორტები მიწას ამოსცილდებიან და ზურგს მოიმაგრებენ, შემოყრილ მიწას შემოვაცლით ნამყენს და დავათვალიერებთ: თუ ჩვენებურ რქაზედ ფესვები გამოსულან, ფრთხილათ შევაცლით მჭრელი დანით. შესაძლებელია აგრეთვე მძინარე კვირტებმაც გაიღვიძონ, მაგრამ ჩვენ ორი ყლორტის მეტი მაინც არ უნდა შევარჩინოთ. თუ ვინიცობაა ძირის ვაზმა, ესე იგი უჯიშო ამერიკულმაც ბღარტები აუშვა ისინიც უსათუოთ უნდა შევაჭრათ. შემდეგ ამისა ხელმეორეთ შემოვაყრით მიწას. გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში ამგვარათ ორჯერ--სამჯერ ვინახულებთ ვაზს. რაკი ორ ყლორტს ძირი გაუმაგრდებათ, ერთს მათგანს, უფრო სუსტს, მოვაცლით და მარტო ერთს დავტოვებთ. ერთის დატოვება თავიდანვე შეგვეძლო, მაგრამ საშიში იყო, ვაი თუ გამაგრებამდე ქარისაგან ან სხვა მიზეზით მოსტეხოდა შერჩენილი ყლორტიც და მაშინ მთელი ერთი წელიწადი დაიკარგებოდა.

ახლა მთელი ჩვენი ყურადღება ამ ერთ ყლორტს უნდა მიექცეს: გავთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით თავის დროზედ, ვუწამლებთ რომ სენმა არ დაჩაგროს, ნამხრევს შევაცლით და ასე ამგვარად გავზრდით ერთს მაგრამ ძლიერ რქას.

შემოდგომაზედ ახალშენში ყველა ვაზზე თითო ლონიერი რქა გვექნება. ამით გათავდება პირველი წლის მოვლა.

**მეორე წელიწადი.** თუ სადმე ვაზი აკლია ახალშენში უნდა შევავსოთ, ახალი დავრგათ. გასხვლა შემოდგომაზედ და ზამთარშიაც შეიძლება, მაგრამ გაზაფხულზედ კი სჯობია. ახლაც ამ ერთ რქას ორ კვირტზედ გავსხლავთ. მიწის შემოყრა ადარ იქნება საჭირო. ორ ყლორტს მთელი წლით შევარჩენთ და კარგი მოვლით ლონიერ რქებათ დაიზრდებიან. საჭიროა ნამყენს თვალი ვადევნოთ: ჩვენებურმა ვაზმა მიწაში ძირი არ გამოიტანოს, ამერიკულს არ მოშორდეს და ფილოქსერის მსხვერპლი არ გახდეს. კარგი იქნება თუ მეორე წელიწადს ვაზს ჭიგოს შევუდგამთ.

**ს. ხუნდაძე**

# გლეხთა ამხანაგობა ფინლიანდიაში

ფინლიანდია რუსეთს აკრავს გვერდით. ეს ქვეყანა როგორადაც რუსეთი მეტი წილი მუშა ხალხით არის დასახლებული. მე არ გამოუდგები ფინლიანდიის ვრცლად აღწერას, ვიტყვი მხოლოდ იმას რომ ეს ქვეყანა მეტად ღარიბია ბუნებით. იქაური მწირი ქვიშნარი მიწები მოდებული კლდეების ვეებერთელა ნამზღვრევებით, ჩვეულებრივი სუსხიანი ზამთარი, დაუშრობელი ტბა-ჭაობები და ამის მიზეზით აუტანელი ჰავა, აი ფინლიანდიის ნამდვილი სურათი. ახლა თქვენც ადვილად წარმოიდგენთ, რომ თუ არ შრომაში ნაწრთობი, სხვა უამისო ხალხი დიდხანს ვერ გაუძლებდა ფინლიანდიის უმადლო ბუნებას, ფინები კი, რომლებიც უხსოვარ დროიდანვე შეჰხიზვნიან ამ ღარიბ ქვეყანას, დღეს აქ ჩინებულად გრძნობენ თავიანთ თავს. მათი მოხერხებული და დაუღალავი შრომის წყალობით, ფინლიანდია სამოთხედ არის გადაქცეული. მეურნეობა, ეს უმთავრესი წყარო სიმდიდრისა, მიუხედავად მრავალი ხელშემშლელი პირობებისა ფინებს სამაგალითოთა აქვთ მოწყობილი. ამისათვის ეს პატარა მხარე დღეს ევროპის მოწინავე ქვეყნებს უდგა მხარში. აქ დღეს ერთ კაცსაც ვერ შეჰხვდებით, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს. მთელი ხალხი გათქმულია თავისი შრომის მოყვარეობით და პატიოსნებით.

მეურნეობის წარმატებას ამ ქვეყანაში დიდათ შეუწყო ხელი კოოპერაციების და გლეხთა ამხანაგობის გავრცელებამ. თუმცა ეს საქმე სულ ახალია ფინლიანდიაში, მაგრამ მკვიდრ ნიადაგზედ კია იგი აშენებული

კოოპერატიული მოძრაობა პირველად გლეხებში როდი დაიწყო, არამედ განათლებულმა საზოგადოებამ ჩაუყარა მას საძირკველი. მალე იმათ გლეხებიც შეუერთდნენ და ამნაირად გაიჩარხა საქმე. კოოპერაციის თავის ამშლელი და დამფუძნებელი ამავე ქვეყნის შვილი პროფესორი გებგარდი იყო. განათლებული საზოგადოების ცდილობით დაარსებულ იქმნა კოოპერაციის დამხმარე საზოგადოება „პელერვო“ (ფინურ ენაზედ პელერვო ჰნიშნავს ხვნა-თესვის ღმერთს), რომელმაც ბოლოს მრავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გლეხი და მსხვილი მემამულე მიიზიდა თავისაკენ. საზოგადოებამ მეტად მოხერხებულათ დაიწყო საქმიანობა: იმისი პირველი ცდა ის იყო, რომ ხალხში ნიადაგი მოემზადებინა კოოპერაციებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოება კოოპერაციების შესახებ ჰბეჭდავდა წესდებებს და მრავალ მოკლე დარიგებას. ფინები როგორათაც წერაკითხვის მცოდნე ხალხი გულმოდგინეთ კითხულობდნენ ამ პატარა წიგნაკებს. საზოგადოებავე ჰხსნიდა სკოლებს, მართავდა სახალხო კურსებს, ჰგზავნიდა სოფლად ნასწავლ მეურნეებს, რომლებიც დაუღალავად მუშაობდნენ ხალხში.

„პელერვო"-ს უმთავრესი ოცნება იყო: სამშობლო ფინლიანდია როგორმე დაეწინაურებინა და სხვა ქვეყნებს არ ჩამორჩენოდა უკან. მართლაც საზოგადოების გონივრულმა და დაუღალავმა შრომამ უნაყოფოთ არ ჩაიარა, ფინები მალე მიჰხვდნენ კოოპერაციის სარგებლობას და საქმეში გამოიყენეს კიდეც. დღეს ამ პატარა ქვეყანაში უკვე 1751 კოოპერატიული საზოგადოებაა დაარსებული.

ფინლიანდიის მიწა შეუფერებელია ხორბლეულ მცენარეებისათვის, სამაგიეროთ ფინები სთესავენ სხვა და სხვა ბალახს და მშვენიერ თივას ღებულობენ. მიზეზიც ეს გახლავთ, რომ ამ ქვეყანაში უმთავრესად მეწველი საქონლის მოშენებას მისდევენ. ერბო-კარაქის გაკეთება აქ საზიაროთ ანუ საამხანაგოთ არის მოწყობილი.

ამ ჟამად ფინლიანდიაშია 352 ერბოს გამკეთებელი ამხანაგობაა.

ამ პატარა ქვეყანას 1908 წელს 9,700,000 მან. ერბო გაუსაღებია საზღვარ გარეთ. ზემოხსენებულ ამხანაგობებს 33,000 წევრი ჰყოლიათ და 216000 სული ძროხა.

კარგი თვისება ფინებისა იმაში გამოიხატება, რომ აქაურ ერბოს გამკეთებელ ამხანაგობაში ყველა იღებს მონაწილეობას განურჩევლად, როგორც მდიდარი ისე 1—3 ძროხის პატრონებიც. ამ ბოლო დროს ფინლიანდიის ერბოს გამკეთებელ ამხანაგობათ შეუკრავთ კავშირი, რომელსაც „ვალიო" ჰქვიან. ამ კავშირის დანიშნულებაა ერბოს სამზღვარ გარედ გატანა და გასაღება. ამნაირად მოხერხებულმა ფინებმა იქაურ ჩარჩებსაც ლაგამი ამოსდეს პირში.

ერბოს გამკეთებელ ამხანაგობების გარდა ამ ქვეყანაში 364 საკრედიტო დაწესებულება არსებობს, რომელთაც ჰყავთ 12,000 წევრი. ფინური საკრედიტო დაწესებულება ასესხებს ფულს, მხოლოდ შემდეგი საჭიროებისათვის: ხელოვნური სასუქების სასყიდლად, სამეურნეო იარაღის და ჯიშიანი საქონლის შესაძენათ, ჭაობების გასაშრობათ. სესხი არ აღემატება 40 მან., სარგებელს ღებულობენ $5^1/_2$—6%.

ყველაზედ უფრო გავრცელებული და რიგიანად დაყენებული ეგრედწოდებული მომხმარებელი საზოგადოებებია ფინლიანდიაში. მათ ეხმარებათ „პელერვო" და მეორე საზოგადოებაც, სახელად „ცენტრალური მომხმარებელი საზოგადოება," რომელიც 1904 წ. არის დაარსებული. დღეს ფინლიანდიაში 512 მომხმარებელი საზოგადოებაა, სადაც სულ 100,000 წევრი ითვლება. 1908 წელს ამ ამხანაგობებს გაუყიდნიათ 19 მილ. მანეთის საქონელი, მოგებათ დარჩენიათ 450,000 მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთი. ამხანაგობასვე ჰქონია 900,000 მანეთის უძრავი ქონება.

მომხმარებელი საზოგადოება შეტანილ თანხაზედ 6% სარგებელს აძლევს თავის წევრს. დანარჩენი მოგება იყოფა როგორც ამხანაგობის წევრებზედ ისე გარეშე მუშტარზედაც, იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი უვაჭრნია ამხანაგობის მაღაზიიდან. მხოლოდ ფულს ხელში არ აძლევენ, არამედ თანხაში უთვლიან, ისე რომ რამოდენიმე წლის უკან გარეშე მუშტარიც ნამდვილი წევრი ხდება ამხანაგობისა.

ფინლიანდიაში ყურადღების ღირსია აგრეთვე ტორფის დამუშავების საქმეც. ტორფი წარმოადგენს ჭაობის მცენარეთა დამიწებულ ძირებს. აი ამ ტორფს ფინები იღებენ მიწიდან, აშრობენ, ასუფთავებენ და ასე მომზადებულ მასალას საქონელს უშლიან ფეხ ქვეშ.

ამ საქმის საწარმოებლათაც უკვე რამოდენიმე საზოგადოებაა შემდგარი.

ერთი სიტყვით ფინლიანდიაში არაფერი არა რჩება გამოუყენებელი, ჭაობებიდანაც კი ღებულობენ სიმდიდრეს.

ეს პაწაწინა ქვეყანა დღე მუდამ წარმატებაშია. არ აშინებს მას არც იქაური სიცივე, არც ქვა-ღორღიანი მიწა და არც დაუშრობელი ჭაობები. იქაური ხალხი ყველა ამ დაპრკოლებას სძლევს, მკითხველო, თავისი პატიოსნებით, განათლებით და შრომის მოყვარეობით.

**გ. ნახუცრიშვილი**

# შინაური ცხოველების ავადმყოფობა და ექიმობა

## ჭრილობები ცხენის ქვეითა ყბის ღრძილზე სალაგმე ადგილას და ტუჩების ყურეებზე

ცხენის ქვეითა ყბაზე, ეშვსა (ანუ ღოჯსა) და პირველ საფქვავ კბილს შუა ტიტველა ღრძილი აქვს, სადაც ლაგამი დევს ხოლმე, როცა ეს უკანასკნელი უკან არაა მიწეული და ტუჩების **ყურეებს** არ ეხება.

ამ ადგილას და ტუჩების ყურეებშიაც ცხენს ლაგამისაგან ზოგჯერ ჭრილობა ეძლევა ან იმიტომ, რომ ლაგამია ცუდი ან და თვით ცხენსა აქვს ცუდი ჩვეულება: მაგ. ფეთიანია ან ძლიერ გამწვევი (გამკრავი) თავისა; ან ისეთი, რომელზედაც იტყვიან ხოლმე: „ლაგამზედაა სულ ჩამოკიდებული“-ო და ან სუსტი აგებულობისაა.

ჭრილობა როგორც ღრძილზე ისე ტუჩების ყურეებში, მითაა საყურადღებო, რომ ხშირად გაარჯლება იცის, ზოგჯერ ცხენს ასახირჩრებს. გარდა ამისა ეს ჭრილობები უმეტეს შემთხვევებში ცხენის ცუდს თვისებებს ჰმოწმობენ, ამიტომ ყიდვა-გაყიდვის დროს ცხენის გამშინჯავი ამ ადგილების სიმრთელეს უნდა აქცევდეს დიდ ყურადღებას. ეს ადგილები ცხენს ლაგამის გარდა სხვა მიზეზითაც შეიძლება დაუშავდეს.

როდესაც ჭრილობა ცხენს სალაგმე ღრძილზე აქვს, ცხენი მორიდებით სჭამს, საჭმელი გარედ უცვივდება, პირიდან მყრალი ნერწყვი გადმოჰდის, ლაგამზე სისხლის ნიშნებია. პირს რა გავაღებინებთ, დამაავადებელი მიზეზი აშკარადა ჩანს. ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფობა იოლად გაივლის. დაშავებული ადგილი წამოწითლდება, შესივდება; ახალგაზრდა ხორცი მალე წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეზრდება და ჭრილობაც მალე მოუშუშდება.

ზოგჯერ კი დაავადებული ადგილი დაწყლულდება, ხორცი თანდათან ჩირქიანდება, იხრწნება, ამოიჭმება ზოგჯერ ყბის ძვლამდის და ახალგაზდა ხორცი კი არ ამოდის; მერე ყბის ძვალიც იწყებს ხოლმე ზოგჯერ ხრწნას და აქედან ეს ხრწნილება კბილების ძირებზედაც გადადის. თუ ლაგამი არ მოაშორეს ცხენს, იგი ჩაეჭედება ძვალში და ზოგჯერ კიდევაც გადუტეხავს ხოლმე ამ ძვალს. ცხენს პირიდან გამოდის დამპალი მძოვრის სუნი.

ექიმობა. ლაგამის მაგიერ ცხენს უნდა აფშარა გაუკეთდეს. მიეცეს სუფთა და რბილი საჭმელი; ახლო უნდა ჰქონდეს სუფთა და ცივი წყალი, რომ მალმალ გამოისველოს პირი და სუფთად შეინახოს. ჭრილობაზე თუ ხორცის ნაკუწებია უნდა ავაჭრათ; თუ ძვალი ჩაიმსხვრა, მისი ნამსხვრევებიც ამოვწმინდოთ და მოვბანოთ. მოსაბანად ვიხმართ:

1) ან კარბოლის სიმჟავეს (12 წვეთი 1 ჩაის სტაქან წყალში); 2) ან ბორის სიმჟავეს (1 ჩაის კოვზი 1 ჩაის სტაქან წყალში), 3) ან არაყს.

თუ ეს წამლები ხელთ არა გვაქვს, ჭრილობას სუფთა წყლით მოვბანთ და ზედ დაფხვნილ შაქარს, ან ნახშირს დავაყრით. ახალი ხორცის წამოსაყვანად საჭიროა მოვუსვად ჭრილობაზე: 1) ან იოდის ტინქტურა, 2) ან მურის ტინქტურა, 3) ან საბურის ტინქტურა; ან და მოვწვავთ ჯოჯოხეთის ქვით, ან სპილენძის შაბიამნით (მოვუსვამთ პირდაპირ წყალში გაუხსნელს).

თუ ყბის ძვლიდან ლპობამ კბილის ძირამდე მიაღწია, მაშინ კბილი უნდა ამოვაძროთ და მის ბუდეში იოდოფორმაში ამოგანგლილი ბამბა ჩაუტენოთ.

---

ჭრილობა ტუჩების ყურეებში უფრო ადვილი მოსარჩენია, თუ ლაგამი დროზე მოვაშორეთ ცხენს და ჭრილობა სუფთად შევუნახეთ. ზოგჯერ კი დაავადებული ადგილი დაუსივდება ცხენს, დაუჩირქდება და ჩირქი შიგნით პირში სდის.

ექიმობა ამ შემთხვევაში იგივე იქნება, რაც ზევითა ვსთქვით.

**გრ. ცხადაძე**

# როგორ ზრუნავენ და სარგებლობენ შინაური საქონლით ჩვენში, რუსეთში და სხვაგან

რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ხალხის ცხოვრებაში შესაბამ, მეწველ და ყველა სხვა შინაურ საქონელს, ეს ჩვენმა ხალხმა ევროპიელებზე ნაკლებ როდი იცის. პირიქით ჩვენი სოფლის კეთილდღეობა უფრო მეტად არის დაკავშირებული შინაურ საქონელთან. ღხარობას უქონლობა მოსდევს ჩვენში უფრო ხშირად, ვიდრე სხვაგან. ხოლო რამოდენა ყურადღებას ვაქცევთ ამ გარემოებას, რამდენად ვზრუნავთ შინაურ საქონელზე და როგორ პატივში გვყავს იგი შედარებით სხვა ქვეყნებთან, ეს კი, მგონია, იშვიათად ვინმემ იცის.

შინაური საქონელი ჩვენში ძოვნით იკვებება. სადაც მოსაძოვი არ არის, იქ მოსახიხნი იქნება. ნაბჯა, შამბი, ნარი, ეკალი, ნეკერი და სხვა ჩვეულებრივი საზრდოა ზამთარ-ზაფხულ ჩვენი საქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნლისა, რომელსაც კარგი რბილი თივა გოზინაყივით მცირედ ხანს გაჰყვება ხოლმე. ზოგთათვის, თუ ზოგადობას გამოუდგებით, თივა თვალით დასანახავათაც არ არის.

რაც შეეხება დათესვით მოყვანილ საზრდოს საქონლისას: სამყურა, იონჯა, ჭარხალი და სხვა **ძირნაყოფიან** მცენარეებს, ამაზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს. ზოგს სოფლად არც კი გაუგონია, რომ საქონლის ამ საზრდოთათვის იგივე ხვნა-თესვაა საჭირო.

სად რამდენად ჰყავთ შინაური საქონელი საძოვრებზე დანაბრებული და როგორ ასაზრდოებენ მას, შემდეგიდანა სჩანს.

მთელი დასამუშავებლად გამოსადეგი მიწებიდან სათიბები და ყორულები შეადგენენ: *)

| | |
|---|---|
| საფრანგეთში . . . . | 18,8% |
| ბელგიაში. . . . . | 20,9 „ |
| გერმანიაში . . . . . | 24,6 „ |
| იტალიაში. . . . . | 26,9 „ |
| ჩრდ. ამერ. შტატ. . . | 28,0 „ |
| დანიაში . . . . . | 35,0 „ |
| **რუსეთში**. . . . . | 3,77 „ |

ამგვარად ყველა ჩამოთვლილ სახელმწიფოებში რუსეთი თითქო უფრო მეტ გულშემატკივრობას იჩენს საქონლისადმი, რადგან მეტი ადგილი შეუნახავს საქონლის საზრდოს მოსაყვანად. ხოლო რამდენად კულტურულია ეს მეტი მითამდა ზრუნვა შემდეგიდანა სჩანს.

1890 წლიდან მოყოლებული აქნობამდე **რუსეთი** ყოველწლივ **თითო დესეტინაზე** საშუალოდ 77 **ფუთ თივას** იღებს:

| | |
|---|---|
| იტალია. . . . . | 127 ფუთს |
| დანია . . . . . | 177 „ |
| საფრანგეთი . . . . | 182 „ |
| ბელგია. . . . . | 197 „ |
| გერმანია . . . . . | 205 „ |
| ჩრდ. ამ. შტ. . . . | 235 „ |

ამგვარად, ამ ჩამოთვლილ ქვეყნებში საქონლისათვის ზოგან $2^1/_2$ ჯერ, ზოგან $3^1/_2$ ჯერ მეტი საზრდო ულიათ დესეტინიდან, ვიდრე რუსეთში.

რუსეთის მთელი წლის თივას—1984 მილიონ ფუთს საშუალოდ, რომ სამი მილიარდი ფუთი ქეჩეჩ-ფუჩეჩი და ნამჯა, რაც სინოყივრით 1360 მილიონ ფუთ თივას უდრის, მივუმატოთ, გამოვა რომ რუსეთში საქონლისათვის საკვებავი წლის სარჩო ყოფილა 3344 მილიონი ფუთი, რაც თითოეულ სულ ადამიანზე სახელმწიფოში შეადგენს 36,6 ფუთს.

სხვა სახელმწიფოებში კი თითო სულ ადამიანზე საქონლის სარჩო ამავე ანგარიშით მოდის:

| | |
|---|---|
| იტალიიში . . . . . | 40,5 ფუთი |
| გერმანიაში . . . . . | 44,7 „ |
| ბელგიაში. . . . . | 57,7 „ |
| საფრანგეთში . . . . | 70,8 „ |
| დანიაში . . . . . | 85,6 „ |
| ჩრდ. ამ. შ. შტ. . . . | 398,0 „ |

მაშ თითო ადამიანს ამ ქვეყნებში შინაური საქონლის გამოსაკვებათ ჰქონია ზოგან ერთი მესამედით მეტი, ხოლო ზოგან კი 10 ჯერაც მეტი, ვიდრე რუსეთში.

ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ რუსეთის 50 გუბერნიაში თითო 1000 სულ მცხოვრებელს მხოლოდ 173 ცხენი ჰყავს, როდესაც რომ ამერიკაში იმოდენავე მცხოვრებლებს ჰყო-

*) „Кр. З.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიათ 273 ცხენი, კანადაში—304 და სხვა.

მართალია, ევროპიელ სახელმწიფოებში რუსეთთან შედარებით უფრო ნაკლები ცხენი ითვლება, მაგრამ ეს იმიტომ რომ იქ უფრო მეტი ხალხი ქალაქებში სცხოვრობს, სადაც ცხენი ისეთ საჭიროებას არ შეადგენს, როგორც სოფლად.

რქიანი მსხვილფეხა საქონელი 1000 მცხოვრებელზე ითვლება:

| | | |
|---|---|---|
| **რუსეთში** . . . . | 252 | ცალი |
| გერმანიაში . . . | 344 | „ |
| ავსტრიაში . . . | 346 | „ |
| შვეიცარიაში . . . . | 516 | „ |
| ფინლიანდიაში . . | 560 | „ |
| დანიაში. . . . . | 771 | „ |
| ჩრდ. ამერ. . . . | 840 | „ |
| ავსტრალიაში. . . | 2886 | „ |

**ცხვარი** იგივე 1000 მცხოვრებელს ჰყავთ:

| | | |
|---|---|---|
| ბელგიაში . . . . | 103 | თავი |
| ავსტრიაში. . . . | 175 | „ |
| გერმანიაში . . . | 328 | „ |
| **რუსეთში** . . . . | 406 | „ |
| საფრანგეთში. . . | 539 | „ |
| დანიაში . . . . | 552 | „ |
| ჩრდ. ამერ. . . . | 689 | „ |
| ნორვეგიაში . . . | 844 | „ |
| არგენტინაში. . | 16714 | „ |
| ავსტრალიაში. . | 25520 | „ |

**ღორი** იგივე 1000 მცხოვრებელზე მოდის:

| | | |
|---|---|---|
| იტალიაში. . . . | 60 | სული |
| **რუსეთში** . . . . | 94 | „ |
| ავსტრიაში. . . . | 148 | „ |
| შვეიცარიაში . . . . | 161 | „ |
| საფრანგეთში. . . | 194 | „ |
| ავსტრალიაში. . . | 228 | „ |
| გერმანიაში . . . | 234 | „ |
| დანიაში. . . . . | 377 | „ |
| სერბიაში . . . . | 388 | „ |
| ჩრ. ამ. შ. შტ. . . . | 803 | „ |

რუსეთში 1898 წელს აქეთ 10 წელიწადში ცხენების რიცხვი ყოველწლივ კლებულობს 0,9%, თითო რუსული ცხენი წონით საშუალოდ არის 18 ფუთი. მსხვილფეხა რქიან საქონელს ყოველწლივ რუსეთში აკლდება 0,98%, 1882 წელს აქეთ სულ 15% დაუკლია ამ საქონელს; ცხვარს აკლდება წელიწადში 1,13%, ღორს—0,1%.

სხვა სახელმწიფოებში კი იმავე დროს ცხენების რიცხვი ყოველ წლივ მატულობდა და წონითაც თითოეული ცხენი 28—48 ფუთამდე იწონიდა.

ხუთ წელიწადში 1892—1896 წ.წ. რუსეთიდან სამზღვარ გარედ გასულა სულიერი შინაური საქონელი საქონლის ნაწარმოებიანად ერთად, ესე იგი ყველი, ერბო, მატყლი და სხვა, სულ 41,9 მილიონი მანეთისა. თვით რუსეთში კი სამზღვარგარეთიდან იგივე საქონელი შემოსულა 52,5 მილიონი მანეთისა.

ამგვარად კოჭლობა ყველაფერში გვეტყობა, თუმცა იქნება მუშაობაში არა ნაკლებ ვწვალობთ. ერთი წამალთაგანი კი სამეურნეო სწავლა-განათლებაშია, რომელსაც სამწუხაროდ მაგრე რიგად ჯერაც არა ვწყალობთ.

**ვ. გულბაათიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საყურადღებო ცნობები

**კითხვა**: მე მაქვს ქუთაისის მაზრაში 4—8 წლის დარგული ნამყენი ვენახი გადაბრუნებულ მიწაზედ. ნიადაგი მისი არის ცოტათი ფერდობი, მოყვითალო ხოფნარევი (ქვა-გუნდა). ძალზედ გამოფიტულია. რადგან საქონლის პატივი (ნეხვი) არ იშოვება, მსურს მისი განოყივრება ხელოვნურათ. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ ფრიად საჭირო რჩევას და დარიგებას, თქვენი პატივცემული ჟურნალი „მოსავალის“ საშუალებით. რა და რა ნივთიერება იქნება საჭირო და რამდენ რამდენია საკმარისი, დაახლოებით, **ას** ოთხ-კუთხ საჟენზედ. სად და ვისთან შემიძლიან შევიძინო ხელმისაწვდენ ფასად.

პატივისცემით ხელის-მომწერი „მოსავალისა“ **ნ. ბ კეთილაძე**

**პასუხი**: ტომასშლაკი. . . . $1^1/_2$ ფუთი
კალინარევი (ქლორის-
კალი) სასუქი. . . . . $^3/_4$ ფუთი

რამდენი ღირს, სად შეიძლება იყიდოთ და როგორ უნდა იხმაროთ, ამაზე დაწვრილებით იხ. წარსული წლის „მოსავალი“ №№ 9—13. **რედ.**

---

**„მუხლუხოს“ შესახებ.** ჩემს წერილში (შინაური ცხ. ავადმყ. და ექიმობა) ნახმარი სიტყვა—„მუხლუხო“ რედაქციას შეცდომით განუმარტავს: „გუდაფშუტას გამკეთებელი ჭია“-ო.

„გუდაფშუტას“ სოკოს უწოდებენ მთელ იმერეთში და ლეჩხუმშიაც. ამავე სოკოს მეორე სახელი აქვს: „მცუანა სოკო“. ეს სოკო თეთრი ფერისაა, რგვალია ბურთივით, თითქმის უღეროო, ბარში იზრდება თხილის ან კაკლის ოდენა, ხოლო მთებში ვაშლის ოდენა. როცა დამწიფდება, ჰვარტლის ფერი შეიკნება, კანი გაუთხელდება და გაუხმება, გულში ხორცი გაუმტვერდება, მტვერთან შიგნით ჰაერიც არის გამომწყვდეული. სოკო გუდასავით არის გაბერილი. ხელი რომ მოუჭიროთ, გასქდება, მტვერი და ჰაერი გამოვა და სოკო დაიფშუტება. აქედან ამ სოკოს მიეღია სახელი „გუდაფშუტა“ და „მცუანა სოკოც“. ამ სოკოს მტვერს იმერეთში მოჭრილის წამლათ ხმარობენ.

ეხლა მუხლუხოებზე მოგახსენებთ.

მუხლუხოები ბუსუსებიანი ჭიებია, ღვინის ანუ ჰვარტლის ფერისა. ზურგზე შავი ან ლურჯი ზოლები გადაყვებათ (კანის გამოცვლაზედაა დამოკიდებული). ეტანებიან უმეტესად ხის ფოთლებს. იზრდებიან აბრეშუმის ჭიაზე უმსხვილი და უგრძესი. როცა მომწიფდებიან, დაყვითლდებიან (ასეთს ჭიებს ჩვენში „ბაზი ჭია“-ო, ეტყვიან). ხიდან ჩამოდიან და სადმე მშრალ და დაბალ ადგილას (ღობეებში) აკეთებენ პარკებს. ამ პარკებს ჩვენში „ძილაგუდას“ ვეძახით. მიხაკის ფერისაა, მაგარი, აბრეშუმის პარკზე უფრო მეტი (უთუოდ ამის მაგიერ იხმარა რედაქციამ „გუდაფშუტა“). ამ პარკიდან გამოდის „ხატი პეპელა“. „ხატი პეპელა“ ჩვენში ყველა პეპლებზე უდიდესია, დიდი ფრთები აქვს, მოხატული თეთრი და შავი წერტილებით, თვით პეპელა მიხაკის ფერისაა. „ძილა გუდას“ შესახებ ჩვენში, სოფლებში, ცრუმორწმუნოებაა: თუ ის მძინარეს თავ ქვეშ შეუდვეთ, ძილი დაიმორჩილებს და დიდხანს ვერ გამოიღვიძებსო. პატარა შეგირდ ბი იმერეთში მასწავლებელსაც ჩააპარებენ ხოლმე პალტოს ჯიბეში, რომ მეტი იძინოს შინ და გაკვეთილებზე გვიან მობრძანდესო. ქუთაისის პირველ სამეურნეო გამოფენაზე ერთს მეაბრეშუმეს „ძილა გუდასაგან“ ძაფი ჰქონდა ამოღებული და გამოფენილი სანიმუშოდ. ძაფი აბრეშუმივით ხვასხვასა პრწყინვალე ფერისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, მაგრამ აბრეშუმივით ნაზი არ იყო, ხელში მოუხვეშელი იყო უფრო.

ამნაირად სიტყვა „მუხლუხო“, „ძილაგუდა“ და „გუდაფშუტა“ ყველასათვის ადვილი გასაგებია იმერეთში და ლეჩხუმისაკენ, ხოლო დანარჩენ ადგილებში როგორ ესმით არ ვიცი.

**გ. ცხადაძე**


# განცხადებანი

**სამეურნეო ჟურნალი**

## მოსავალი

ერთ წიგნად **ქდა-კაზმული** ჟურნალის ყველა 15 ნომერი აქამდე გამოსული მსურველთ დაეთმობათ იმავე **2 მანეთში,** რამდენიც წლის დამლევამდე ღირდა ჟურნალი.

**მოსავლის რედაქციაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:**

**ვ. ი. რცხილაძე** კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (მეორე ნაწილი) 50 კ.

**იმისივე** (თარგმანი) ქიმია პრ. როსკოსი (მეორე გამოცემა) 30 კ.

**იმისივე** საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდგან ტ. შვეიცარიის ძირითადი კანონები 25 კ.

(ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი ტფილისის სასალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ არის დანიშნული).

## ამერიკული ვაზის სანერგე კლუ-ეგურული ქ. ქუთაისში

სანერგე მდიდარია ყოველნაირი ჯიშის ვაზებით და ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მთელს რუსეთში.

მსურველთ გაეგზავნებათ ბრეისკურანტი და განმარტებანი უფასოთ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**წელიწადი მესამე** **დროება** **წელიწადი მესამე**

1910 წ. გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით რომელითაც წარსულ წლებში გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირაობით

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მ. 80 კ., ერთი თვით—80 კ.

ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) შვიდი კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

**კედლის კალენდარი 1910 წლისა.**

**სამეურნეო ჟურნალი**

## მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელისმოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის-მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრედვე **უფასოდ** თითო **წიგნს—ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. Редакція «МОСАВАЛИ».


რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**